მატჩი, რომელიც არაფერს წყვეტდა

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 21 ნოემბერი.

“დინამო” (კიევი) - “დინამო” (თბილისი) - 2:2 (1:1).

კიევი: ბანიკოვი, ვანკევიჩი, სოსნიხინი, ლევჩენკო, ტროშკინი, ტურიანჩიკი, ბოგოვიკი, პუზაჩი, ბიშოვეცი (ვერემეევი), სერებრიანიკოვი (კაშჩეი), ხმელნიცკი.

თბილისი: ჩლაიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა (ილიადი), ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

ფეხბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები, საკავშირო ფედერაციის მუშაკებიც კი ბოლო წლებში ხშირად გამოდიან პრესაში განცხადებით, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარი შედგენილი უნდა იყოს რაც შეიძლება რაციონალურად, ხელს უწყობდეს გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ნორმალურად წარმოებას, თანაც, იყოს მყარი და სტაბილური, ერთხელ და საბოლოოდ დამტკიცებული.

ოქროს სიტყვებია! ასეთ კალენდარს რა სჯობს, მაგრამ ვინაა ამ კეთილი სურვილების შემსრულებელი? ჩვენ უკვე აღარც გვახსოვს ის წლები, როცა კალენდარი კალენდარს ჰგავდა და ახლანდელივით არ გვიხდებოდა თარიღებისა და შემხვედრი გუნდების ვინაობათა უსასრულოდ გადაჩხაპვნა.

ახლაც ასე მოხდა. სსრ კავშირის ჩემპიონატი, ფაქტიურად, დამთავრდა, ყველაფერი ნათელი, გარკვეული და წერტილდასმულია. საქაღალდეს კი, რომელსაც აწერია “სსრ კავშირის 1969 წლის პირველობა”, ჯერ ვერ დახურავ. ჯერ კიდევ გასარკვევია კიევისა და თბილისის დინამოელთა ურთიერთობანი.

რა უნდა გაარკვიოს ამ ორმა მატჩმა? არსებითად, არაფერი. კიევის “დინამო” ვიცე-ჩემპიონია, ხოლო თბილისის “დინამო” - ბრინჯაოს პრიზიორი. აქ აღარაფერი შეიცვლება.

და მით უფრო საწყენია, რომ ასეთი რანგისა და ტიტულების ორ გუნდს ფაქტიურად უხდება საწვრთნელი მატჩის ჩატარება, ვინაიდან ჩემპიონატი ზურგს უკანაა, არაფერი იცვლება. ამიტომ ნამდვილ სატურნირო ბრძოლას სჯობს “მაღალ დონეზე” წაივარჯიშო, ვინაიდან კიეველებს სრულ სპორტულ ფორმაში ყოფნა ჭირდებათ 26 ნოემბრისთვის (ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მატჩი ფლორენციაში “ფიორენტინასთან”). თბილისელებს კი ტურნე აქვთ იტალიასა და არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში...

აი, ასეთი პერსპექტივებით გამოვიდნენ მეტოქენი კიევის სტადიონზე, ამიტომ მინდორზეც ამხანაგური შეხვედრის განწყობილება სუფევდა. სხვა შემთხვევაში, სხვა სიტუაციაში ეს იქნებოდა უკიდურესად დაძაბული, საბრძოლო მატჩი.

ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა პუზაჩმა. ამას მოჰყვა თბილისელთა ხანგრძლივი იერიშები, ხურცილავამ ძელს მოახვედრა ბურთი, ლ. ნოდია საუკეთესო პოზიციაში იმყოფებოდა და თავი გამოიჩინა ბანიკოვმა. ბოლოს, 35-ე წუთზე, გავაშელმა კარგად გამოიყენა ასათიანის გადაცემა - 1:1.

75-ე წუთზე ტროშკინი შეიჭრა სტუმრების საჯარიმო მოედანში და რამდენიმე მცველთან ბრძოლაში გაიტანა მეორე გოლი. მერე კი ფლანგიდან მოწოდებული ბურთი ასათიანმა ზუსტად გაგზავნა კარში.

ო. ბუჩმა (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 23 ნოემბერი, 1969 წ.